

# საქართველოს ბანკი: საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდასაჭერად DCFTA მოთხოვნების განხორციელების პროცესში

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	48026
ბიზნეს სექტორი:	ფინანსური ინსტიტუტები
განაცხადის ტიპი:	კერძო
საბჭოზე გატანის თარიღი:	4 მაისი, 2016 გაიარა საბოლოო განხილვის ეტაპი, იმყოფება საბჭოს თანხმობის მოლოდინის რეჟიმში
სტატუსი:	
ინგლისური ვერსიის გამოქვეყნების თარიღი:	31. 03.2016

## პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ევრობანკი) დირექტორთა საბჭოს განსახილველად წარუდგინა 100 მილიონ დოლარამდე დაფინანსების პაკეტი, რომელიც განხორციელდება ორ თანაბარ ტრანშად (მეორე ტრანში არასავალდებულოა), დენომინირებულია ადგილობრივ ვალუტაში საქართველოს ბანკისთვის და შედგება სამი ტრანზაქციისგან:

- 50 მილიონ დოლარამდე (ტრანში) (ექვივალენტი ლარში) საკრედიტო ხაზი ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, მათ მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულების პროცესში;
- 40 მილიონ დოლარამდე (ტრანში) (ექვივალენტი ლარში) საკრედიტო ხაზი ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გამიზნული ქვე-სესხებისათვის;
- 10 მილიონ დოლარამდე (ტრანში) (ექვივალენტი ლარში) – „ქალები ბიზნესში“ დაფინანსების პროგრამისათვის, ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად.

## პროექტის მიზნები

პროექტის ეს ჯგუფი დახმარება საქართველოს ბანკს განავითაროს საკრედიტო პროგრამები შესაბამის ბიზნეს სეგმენტებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით და უზრუნველყოს საფუძვლიანი მხარდაჭერა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გრძლევადიანი დაფინანსებისთვის ადგილობრივ ვალუტაში.

## გარდამავალი ეფექტი

ამ ოპერაციის გარდამავალ შედეგებს შორის იქნება დაფინანსების კარგად მორგებული ინსტრუმენტების განვითარება ადგილობრივ ვალუტაში, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ისევე როგორც, დაფინანსებაზე წვდომის კუთხით არსებული კონკრეტული გენდერული ხარვეზების აღმოფხვრა იმ ქალი მეწარმეების მხარდაჭერის გზით, რომელთაც აქამდე ვერ ისარგებლეს დაფინანსებით.

ევრობანკის მხრიდან საქართველოს ბანკის მხარდაჭერა, ზემოთ ხსენებული საკრედიტო ხაზების საშუალებით, გააძლიერებს საქართველოში საბანკო სექტორის მიერ სესხის გაცემის ზოგად პოტენციალს და, შესაბამისად, ფინანსურ შუამავლობასაც.

შემოთავაზებული საკრედიტო ხაზები გაზრდის დაფინანსების წყაროების მიწოდებას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ადგილობრივ ვალუტაში და, შესაბამისად, ზოგად წვდომას საბანკო დაფინანსებაზე.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკი წამყვანი უნივერსალური ბანკია საქართველოში, რომლის მთლიანი აქტივები 3.8 მილიარდ დოლარს შეადგენს და რომელსაც ბაზრის მთლიანი აქტივების 33.4% უკავია. საქართველოს ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმლისტინგშია განთავსებული.

## EBRD-ის დაფინანსების ჯამი

50,000,000.00 ამერიკული დოლარი.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 ამერიკული დოლარი.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს FI კატეგორია (2014). საქართველოს ბანკი ევრობანკის არსებული კლიენტია და, შესაბამისად, იცნობს ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალურ მოთხოვნებს. საქართველოს ბანკს გააჩნია საკუთარი გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავენ გარემოს დაცვის, სოციალურ, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს. ბანკის წარმომადგენლები დაესწრნენ ევრობანკის ტრეინინგსა და სამუშაო შეხვედრებს გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების მართვის თემაზე 2006 წელს. რის შემდეგაც, ბანკმა, გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების მართვის საკითხების ზედამხედველობის მიზნით, თანამდებობაზე აიყვანა გარემოს დაცვის საკითხების კოორდინატორი.

საქართველოს ბანკს აქვს საკუთარი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ფარავს ხელფასების (ჩვეულებრივი და ზეგანაკვეთური დონე) გადახდის, ზეგანაკვეთის, სამუშაო საათების, სარგებლების, თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი გასაჩივრების მექანიზმის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, მოქნილი სამუშაო საათებისა და სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვის საკითხებს.

საქართველოს ბანკი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მე-2, მე-4 და მე-9 მოთხოვნების მუდმივი შესრულება და შესაბამისი ტრეინინგები თანამშრომლებისათვის, განსაკუთრებით კი - ახლად აყვანილი და რეგიონული განყოფილებების კადრებისთვის. გარდა ამისა, საქართველოს ბანკი ვალდებულია ყოველწლიურად წარადგინოს გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შესახებ ანგარიში ევრობანკისთვის მისაღები ფორმატით.

## ტექნიკური თანამშრომლობა

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საკრედიტო ხაზს თან ახლავს ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის(NIF) საგრანტო დაფინანსებაც (ტექნიკური და არატექნიკური), შემდეგი ფორმით:

ტექნიკური თანამშრომლობა: i)პროექტის კონსულტანტის ჩართვა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში საქართველოს ბანკისათვის დახმარების გაწევის მიზნით ii) ცალკე დამმოწმებელი კონსულტანტის ჩართვა, რომელიც დაადასტურებს ქვე-მსესხებლების (მცირე და საშუალო საწარმოები) მიერ ინვესტიციების ტექნიკური განხორციელებას მანამ, სანამ გაიცემა მასტიმულირებელი დაფინანსება შესაბამის მცირე თუ საშუალო საწარმოზე და iii) ბიზნეს კონსულტაციები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მათი ტექნიკური, მენეჯერული, ბაზრის ცოდნისა და საინვესტიციო პროექტების განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

არატექნიკური თანამშრომლობა: მასტიმულირებელი ინვესტიციები ქვე-მსესხებელთათვის.

„ქალები ბიზნესში“ საკრედიტო ხაზს თან ახლავს ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის (NIF), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და ევრობანკის

გარდამავალი ქვეყნების ფონდის (ETC) საგრანტო დაფინანსებაც (ტექნიკური და არატექნიკური) შემდეგი ფორმით:

ტექნიკური თანამშრომლობა: i) შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ბანკის მხარდასაჭერად ფინანსური პროდუქტებისა და საკრედიტო პრაქტიკის განვითარების პროცესში, კონკრეტულად ქალების მიერ მართული ბიზნესების მომსახურების მიზნით და ii) ბიზნეს კონსულტაციები ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრაქტიკული ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით (ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო არაფინანსური სერვისები).

არატექნიკური: საქართველოს ბანკის მხარდაჭერა კრედიტის გაფართოების პროცესში.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ეკატერინა შავგულიძე,

ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილების

ხელმძღვანელი

+995 2 444 117

<http://bgeo.com/>

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ: [ევრობანკის შესყიდვები](#)

+442073386794;

ელ-ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

ევრობანკის პროექტებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე, რომლებიც არ შეეხება შესყიდვებს, გთხოვთ, მიმართოთ:

ტელ: +44 20 7338 7168;

ელ-ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

## საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (PIP)

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

[საჯარო ინფორმაციისპოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი.

### პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესები

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში, ნებისმიერი საჩივარი შეტანილ უნდა იქნას პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებით განსაზღვრულ ვადებში. თუკი არ ხართ დარწმუნებული თქვენი საჩივრის დაშვებადობაში, შეგიძლიათ დახმარებისთვის მიმართოთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერს.